საქართველოს მოსამართლეთა XXII კონფერენცია

20 იანვარი, 2018 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №19)

დღის წესრიგი

11:00 - 12:00 სთ. - რეგისტრაცია.

(მოსამართლეთა კონფერენცია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის სხდომას ესწრება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ნახევარზე მეტი).

1. 12:00 - 12:05 სთ.

კონფერენციის გახსნა - ლევან თევზაძე (მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე)

2. 12:05 - 12:25 სთ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის ყოველწლიური ანგარიში.

3. 12:25 - 12:40 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გიორგი მიქაუტაძის ყოველწლიური მოხსენება.

4. 12:40 - 13:00 სთ.

საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა ქარჩავას ყოველწლიური ანგარიში.

5. 13:00 - 13:15 სთ.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში ცვლილებები - ამირან ძაბუნიძე (სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე) *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით).*

6.13:15 - 13:35 სთ.

პროექტის პრეზენტაცია - ლორა ბერგერი (საქართველოში აშშ-ის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს დემოკრატიის მმართველობის და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი); ნილი ვაინშტაინი (PROLoG-ის ხელმძღვანელის მოადგილე).

7.13:35 - 13:40 სთ.

მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატების დასახელება - მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 4 წევრს (მაია სვიანაძე, ნინო ქადაგიძე, მირანდა ერემაძე, შალვა კაკაურიძე) უფლებამოსილება შეუწყდათ ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის სამწლიანი ვადის გასვლის გამო. *(ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე).*

8. 13:40 - 14:00 სთ.

ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით (ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით).

9. 14:00 - 15:00 სთ.

ადმინისტრაციული კომიტეტის 4 (ოთხი) წევრის არჩევა - *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით) (I ტური).*

10. 15:00 - 16:00 სთ. - ადმინისტრაციული კომიტეტის წევრების ხელახალი კენჭისყრა - *(ფარული კენჭისყრა) (II ტური - საჭიროების შემთხვევაში).*

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

ქ. თბილისი 20 იანვარი, 2018 წ.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში“ ცვლილებების დამტკიცების თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66-ე მუხლის, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6, მე-7 და 26^1 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში“ ცვლილებები თანდართული სახით. (დანართი №1).

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 01 იანვრიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

დანართი №1

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო
კოლეგიის საქმიანობის წესში ცვლილებების შესახებ“

I. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აპარატის შემადგენლობაში შედიან მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტები, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.“

2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტები:“

3. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის არყოფნაში აწარმოებს სადისციპლინო კოლეგიის სხდომის ოქმს;“

4. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:“

5. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6^1 პუნქტი, კერძოდ:

„6^1. მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი:

ა) მოიძიებს და თარგმნის სადისციპლინო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას;
ბ) განაზოგადებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებს;
გ) აანალიზებს სხვადასხვა შინაარსის მასალებს;
დ) ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს;
ე) ასრულებს სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის სხვა დავალებებს.“

6. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესის მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ლ'' ქვეპუნქტი, კერძოდ:

„ლ) მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს ავალებს სადისციპლინო კოლეგიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განხორციელებას.“

7. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 მუხლი, კერძოდ:

„მუხლი 12.

1. ,,საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ძირითადი ფუნქციებია:
ა) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის აპარატისათვის საკადრო პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავება;
ბ) აპარატის მოსამსახურეთა პირადი საქმეების შედგენა და წარმოება;
გ) აპარატის მოსამსახურეთა საკადრო აღრიცხვა და საინფორმაციო ბანკის მართვა;
დ) საკადრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
ე) აპარატის მოსამსახურეთა სამუშაოს ანალიზის საფუძველზე სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმების დადგენა, შედეგების დადგენა და დასკვნების მომზადება;
ვ) ორგანიზებას უწევს მოხელეთა შერჩევის პროცესს აპარატის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად, კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსისა და ატესტაციის ორგანიზება;
ზ) შინაგანაწესის შემუშავება, თანამშრომელთა შრომის დისციპლინის კონტროლი, შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნის წარდგენა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარისათვის;
თ) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარის ბრძანებების რეესტრის წარმოება.“

8. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი:

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1.	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1300 ლარი
2.	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1100 ლარი
3.	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1000 ლარი

II. ეს ცვლილებები ამოქმედდეს 2018 წლის 01 იანვრიდან.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

ქ. თბილისი 20 იანვარი, 2018 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე და 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6, მე-7, მე-12 და 26[1] მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 20 იანვრიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

ქ. თბილისი 20 იანვარი, 2018 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე და 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6, მე-7, მე-12 და 26[1] მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ბუაჩიძე.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 20 იანვრიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

ქ. თბილისი 20 იანვარი, 2018 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 64-ე და 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6, მე-7, მე-12 და 26[1] მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხატია არდაზიშვილი.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 20 იანვრიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

ქ. თბილისი 20 იანვარი, 2018 წ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე და 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6, მე-7, მე-12 და 26[1] მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად არჩეულ იქნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილი.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 20 იანვრიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე